№ 47 16 მაისს, ქვირა 1866—1876 16 მაისს, ქვირა № 47

დროება

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, ორტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, ებრაულს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რეცეპტი ჭუთაისის ამორჩევისთვის

ტეირთ-მოდებული მგზავრი შეხვდა მეფეს.

საბრალოს თურმე საზურგი აწუხებდა: ვერ შენიშნა ბატონი და გვერდით აუარა. ბარისხდა მეფე, დაჭერინა მგზავრი და მოუნდომა უცნაურათ დასჯა.

რადგანაც მის საზურგ[illegible] ფილოთი იყო პირამდე ავსებული, ბრძანა მეფემ, რომ ამოჭყარეთ ეგ სტაფილოები და თვითო-თვითოთ ჩათხარეთ ხოლმე პირშიო.

როდესაც სისრულეში მოჰყვედათ ბძანება, საწყალი რისხვის მეხვერპლი ამის მეტს არას ამბობდ:

— ღმერთო, უარესისაგან მიხსენი!

ბაუკვირდათ მსმენელებს და ჰკითხეს:

— აცო, ხომ არ გაგიჟდი? მაგაზედ უარესი რაღა იქნებაო?

— როგორ თუ რაღაო? ამ ჩემს გუდაში მხოლოდ შუამდეა სტ ფილო და შუას ქვეით კი მსხვილ-მსხვილი ბოლოკები და თუ ისიც ჩამთხარეს, გამგლიჯს, თქვენი მტერი გაგლიჯოს!“ მიუგო საბრალომ.

ამ ანდაზას გვაგონებ ჩვენ ახლანდელი მარშლების ამორჩევა: ვაი თუ ჩვენც „ვაის“ გაყრილი „უის“ მივეჯახოთ!....

სწორეთ ამ დღეებში ექნებათ ჭუთაისში კენჭის-ყრა და რადგანც მსურველები ბევრი არიან, დიდი შეხლა-შემოხლა იქნება, მით უფრო, რომ ჯერ ბანკის დამფასებლები ამორჩეულები არ არიან, განძრახვით შემოინარჩუნეს, და, როგორც ცხადათ იციან ყველამ, თაბუნთ-უხუცესები შვიდის მაგიერ ათჯერ შვიდსაც აიმედებენ, რომ ოღონდ ამორჩევის დროს მოგვეხმარეთ და დამფასებლობას მოგცემთო!

რასაკვირველია, ისინიც თავს არ დაიზოგვენ მათთვის და ბოლოს, თუმცა ცხრაჯერ შვიდი მოტყუებული, დარჩება, მაგრამ თაბუნთ-უხუცესებს რა ენაღვლებათ? მე მოგახსენებთ, გაწითლდებიან!...

ძველებმა კარგათ იციან, მაგრამ თუ ახალი კაცი ვინმე ისურვებს, რომ მარშლათ ამორჩეული იქნეს, მე როგორც ბევრი შემთხვევის დ მსწრე ჭუთაისში, ეურჩევ ეს რეცეპტი იხმაროს: შეიყვანოს კენჭში, ე. ი. მისთანა პირებს მიანიჭოს ამორჩევის უფლება, რომელთაც ცენზი არა აქვსთ მერე აიყვანოს ერთი ფაიტონი და ღამით „ალილო“ ჩამოუაროს ძეკენჭეებს; ერთს უთხრას, რომ თუ შენ კენჭს მე მითავაზებ, ნოტარიუსში რომ საქმე გაქვს, იმას კეთილათ გაგითავებ-თქო. მეორეს — სუდში საქმის მოხერხებას დაჰპირდეს, მესამე როგორმე მოიმადლიეროს და ამ გვარად ქვეშ-ქვეშობით შეიდგინოს უმრავლესობა. სხდომის დროს თუ ვინმე ითხოვოს სიების შემოწმება, სიტყვას ნუ ათქმევინებენ: დაიწყონ ყვირილი ჯოჯოხეთის საყვირებმა: „არ გვინდა, არ გვინდა! არ გვინდა,“ და გაახურვონ მუშტი. ბოლოს ეკენჭიც ჰყარონ. ეკენჭის კოლოფს შემოახვიონ კაცები რომელნიც უნდა აბრიალებდენ თვალებს და კოლოფიც გადახდილი უნდა იყოს, ისე რომ ყველას შეეძლოს შენიშვნა. თვითონ თავს-მჯდომარე უნდა ეუბნებოდეს მეკენჭეებს: „მს თეთრია! აი აქ არის თეთრი!“ თუ რომ გათეთრება უნდა ვისიმე, და თუ გაშავება, მიშინ კი ასე უთხრას: აი აქ არის შავიო!...“ ეს დიდი მოხერხება იქნება და თუ ვინმე ჰკითხავს თავს-მჯდომარეს, რატომ ნებულობთ მაგასო? იმანაც უმანკოდ უპასუხოს: „აბა არ უნდა ვასწავლო! არ უნდა ვუჩვენო, საით არის თეთრი და შავიო?“

დიახ, გაუმარჯოს მოხერხებულ კილოს!... ამ გვარათ ამორჩეული შეიქნება და მეორეთ მოსვლის საყვირებიც დასძახებენ „ურას!“ ბოლოს ვისაც არ უნდოდა მისი ამორჩევა, ისინიც კოცნით მიულოცავენ: გვიამმა თქვენი ამორჩევაო და სხ...

მაშინ შეიქნება თაბუნის-თავების ქება:

„ძალიან მოხერხებული კაცები არიან და სხ... ზოგიერთი ახალ-გაზდებიც მიეკედლონ იმათ ძალას და მაშინ... მაშინ... ჩვენც დავიძახებთ „ძირს! ძირს!“ რადგანც მაღლა ალარაფერი დაურჩებათ. აკაკი

მრუდე გამოსარჩლება

(პასუხი უფ. ილია ჭავჭავაძეს)

I.

ამას წინით, როცა ჭუთაისს კენჭის ყრა იყო ბანკის მმართველობის ამოსარჩევლათ, უფ. ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა „დროებაში“ სტატია „უფ. ნიკოლაძე და მისი შეხედულობა ბანკზე.“ ეს სტატია ესარჩლებოდა უფ. ბეს. ლოლობერიძეს და მი[illegible]ან გადმოწერილს ჭუთაისის ბანკის წესდებას. რასაკვირველია, უფ. ჭავჭავაძის მხრით საქები რაინდობა იქნებოდა იმისთანა პირის დაცვა, რომელიც თვითონ თავის თავს ვერ იცავს, მაგრამ საუბედუროთ, ამ შემთხვევაში, უფ. ჭავჭავაძე უფ. ბეს. ლოლობერიძეს ესარჩლებოდა თავისი საკუთარი თავის დასაცველათ. საქმე იმაშია, რომ უფ. ჭავჭავაძე არის თფილისის ბანკის წესდების შემდგენელი და ამავე ბანკის მმართველიც. მისი წესდება იმავე კალაპოტზეა გაკეთებული, ესე იგი გადმოწერილი, როგორც უფ. ლოლობერიძისაც. ორივეს თითქმის ერთი ხასიათი აქვთ, ერთგვარი ნაკლულევანება და ღირსება. მაშასადამე ერთი წესდების დაცვა ან ძაგება მეორე წესდებასაც შეეხებოდა. ამას არც თვით უფ. ჭავჭავაძე მალავს. „უნდა ვაღვიაროთ, ამბობს ის, რომ იგი სტატია (ჩემი) ამ საგანზედ იმისთანა აზრებს ჰქადაგებს, რომელნიც არა მგონია დამჯდარის გონებით იყენენ მოსაზრებულნი, და რომელთაც საქმის წახდენა შეუძლიან არამცთუ ჭუთაისის, არამედ თფილისის გუბერნიაშიაც.“ და რადგანც საერთო უბედურება მტერებსაც ერთმანერთს აახლოვებს, გასაკვირველი არაა, რომ ჩვენ ერთს და იმავე ბანკში ეხიდავთ უფ. ჭავჭავაძეს და ლოლობერიძეს.

ამის გამო ჩემს პასუხში მე საჭიროთ ვრაცხ შევაერთო ამ ორი პირის და ბანკის საქმე, და მომავალში ვილაპარაკო, როცა საჭიროთ იქნება, არა თუ მარტო ჭუთაისის, მაგრამ თფილისის ბანკის წესდებაზე.

II.

უმეტესი ნაწილი უფ. ჭავჭავაძის სტატიისა სრულიად არ შეეხება ჩემი პირველი სტატიის შინაარსს და საგანს. უფ. ჭავჭავაძეს ახირებული ჩვეულება ჰქონია პოლემიკის გამართვისა. თქვათ, მე დავბეჭდე, რომ ეა და ეს ქუჩა ცუდათ და სამარცხოთ არის მოკენჭილი თქო. თუ ვინმე ამ აზრის [illegible] არ არის, ის, უეჭველია, უნ[illegible]ზრის დამტკიცებას შეუდგეს, ხომ არა, ეს ქუჩა ჩინებულათ და გონიერათ მოკენჭა მისმა გამკეთებელმა, ამას გვიმტკიცებს ჩვენ აი ეს და ეს მაგალითები და ფაქტებიო. ხომ [illegible]ა მკითხველო? მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ჩემი აზრის წინააღმდეგ წამოდგა კაცი და დაიწყო დაუბოლოებელი ლაპარაკი მაზე, რომ ქუჩები სასარგებლო რამ არიან, რომ მათზე სიარული უფრო სასიამოვნო და ადვილია, ვინემ გაუკაფავ ეწერზე, რომ ეხლანდელი ქუჩების მოკენჭვა ჩინეთლებმა მოიგონეს, რომ ქუჩები ამა და ამგვარათ იკენჭებიან და სხვ. ბანა ამ გვარი ლაპარაკი ჩემი აზრის დარღვევა იქნება? ხომ არა? უფ. ჭ ვჭავაძე კი სწორეთ ამ გვარი პოლემიკის სისტემას დადგომია.

III.

ის შ[illegible]დგომია თავის სტატიას იმ აზრის დამტკიცებით და განმარტებით რომ კრედიტი ჩინებული რამ არის, და საადგილ-მამულო კრედიტი—წარჩინებული. ვინ იყო ამ აზრის წინააღმდეგი? პარახოდიც მშვენიერი რამ არის, და წყლით სიმძიმის გადატანგადმოტანა ბევრათ უფრო იაფათ ჯდება, ვინემ რკინის გზით.—მაგრამ განა აქედამ ის დასკვნა გამოდის, რომ თფილისიდამ ვლადიკავკაზს ჩვენ საქონელი ზღვით უნდა ვგზავნოთ? ან თუნდ კიდეც დაგეთანხმოთ, უნდა ვგზავნოთ თქო, განა ამით საქონელი მართლა ზღვით და პარახოდით გაიგზავნება?

უფ. ჭავჭავაძეს გრძლათ განუმარტებია თუ რაა კრედიტი, რა ღირსება აქვს საადგილ-მამულო კრედიტს, რა თვისება, რა ხასიათი; განუმარტებია აგრეთვე რომ ჭუთაისის გუბერნია განსაკუთრებით „მიწის-მოქმედი“ გუბერნიადაუმტკიცებია ადგილ მამულზე მტკიცი საბუთების ქონვის ღირსება, და ბევრი სხვა ამგვარი საანბანო ჭეშმარიტებები. ვინ იყო, ვიმეორებ, ამ აზრების წინააღმდეგი? როდის ვთქვიმე, მაგალითად, რომ ჭუთაისის გუბერნია მიწის მომქმედი არ არისთქო? ან რა მნიშვნელობა აქვს აქ მიწის მოქმედებას? რა საჭირო იყო ამ საგნებზე ბაასის ატეხა და გაჭიანურება?

IV

რა საჭირო იყო, ჩემო მკითხველო, და ის, რომ როცა კაცს პირდაპირ კითხვაზე პასუხის მოცემა ეძნელება, ის მთასა და ბარს მოედება, აქაოდა აკი გელაპარაკები, მაშასადამე პასუხს გაძლეო. და როცა კიცი ბრძნელ საგნებზე გაბავს ამ გვარ ლაპარაკს, მაშინ დამსწრე ხალხს ეგონება—„კარგათ გონიერათ ლაპარაკობსო!“ ქვალში ჩამდგომი, ბაასის საგნის მხოვნელი ცოტაა, უმრავლესობა მარტო სიტყვების ხვაურობას აკვირდება, და ვინც ამგვარი უმრავლესობის აზრს მეტათ აფასებს, ვინემ დამკვირვებელი უმკირესობის, ის, რასაკვირველია, არ იწუნებს ამნაირი პოლემიკის წესს.

V.

საუბედუროთ მაგარი ესაა, რომ ამ გვარ საანბანო, უბრალო ჭეშმარიტებების გამოთქმის დროსაც წამტერვევია ფეხი უფ. ჭავჭავაძეს. აი, მაგალითად, რა დაუწერია იმას თავის სტატიაში:

„კრედიტი, რომელიც მიწის მოქმედებისთვის არის საჭირო და მასზედ უნდა იყოს მიქცეული, არის ის კრედიტი, რომელსაც მეცნ ერებაში ეძახიან მიწის-სამოქმედო (земельный) კრედიტსა.“

„კრედიტი,“ „მეცნიერება“ და სხვა ამგვარი სიტყვების რახარუხი, რასაკვირველია დააჯერებს ზოგიერთ მკითხველს. მაგრამ იმ პირებისთვის, ვისაც ცოტაოდნათ მაინც ესმის საგანი, ცხადია, პირველათ ის, რომ ეს ლაპარაკი უადგილო იყო ჩვენს ბაასში, და მეორეთ ის, რომ земельный კრედიტი სულ სხვანაირათ არის ახსნილი მეცნიერებაში. მიწის-სამოქმედო (земельный) კრედიტს იმ კრედიტს ეძახიან, რომელიც ნაშოვნია მიწის გირაოთ მიცემით, და არა იმას, რომელიც უნდა მოხმარდეს მიწაზე. მაგალითად: ვიქსილით რომ ფული ვისესხო და მიწას მოვახმარო, ამ კრედიტს მაინც სავაჭრო კრედიტი ერქმევა, როგორც მეცნიერებაში, ის ეცხოვრებაშიაც. მაგიერათ, საადგილ-მამულო ბანკში მიწ[illegible]-წყალი რომ დავგირავო, მით ფული გამოვიტანო, და მერმე ის ფული ბანქოში ან ნარდში წავაგო, ეს ძაინც „მიწის მოქმედი“ ანუ земельный კრედიტი იქნება. ამას გარდა ესეც უნდა დავსძინო, რომ земельный კრედიტი ქართულათ ითარგმნება „მიწის-მოქმედ“ კრედიტათ კი

არა, „საადგილ-მამულოთ.“ მიწის-მოქმედ-კრედიტს რუსულათ ერქმება **земельный** კი არა, **земледѣльческій.** ამ ორს სახელს შუ, ვგონებ, დიდი უშველებელი განსხვავებაა.

IV

დიდათ მაკვირვებს უფ ჭავჭავაძე, რომ ის ამ გვარს შეცდომას იჩენს ისეთს უბრალო ცნობებში, რომელნიც ყველას საანბანოთ მიიჩნიათ. ნუთუ ბანკის მმართველს და წესდების „შემდგენელს“ ამ გვარი შეცდომები შეეფერება? წერილმანებში თუ იმას ამისთანა „მეცნიერება“ ჰქონია, სხვილ-სხვილებ შირასუნდაველოდეთ?

VII

რადგანც უფ. ჭავჭავაძემ თავისი სტატია საანბანო ჭეშმარიტების უადგილო განმეორებით აავსო, მეც ჩემს თავს ნებას მივცემ, მარტო ერთხელ, ამნაირივე საანბანო ჭეშმარიტება განვუმარტო უფ. ჭავჭავაძეს, რომ იმას სხვმის წელანდელური შეცდომა არ შეემთხვეს.

ნდობა, (კრედიტი) რომელიც დამყარებულია მიწა-წყლის გირაოზე არის საადგილ-მამულო ნდობა. ის იმით განირჩევა სავაჭრო ნდობიდამ, რომ ეს უკანასკნელი დამყარებულია ან პირად ნდობაზე ანა და იმ გვარ გირაოზე, რომელსაც წუთიერი, შემცველელი ფასი აქვს, მაგალითად—აქციების, სარგებლიანი ქაღალდების და სხვა ამგვარი მოძრავი საკუთრების გირაოზე.

VIII

ჩემს სტატიაში მე ვამტკიცებდი უფ. ლოლობერიძის წესდების სისუსტეს სხვათა შორის იმ საფუძვლითაც, რომ ეს წესდება გადმოწერილია რუსული ბანკების წესდებებიდამ, ადგილობრივი საჭიროებების დაუხედველათ და დაუკმაყოფილებლათ.—რა უყოთ რომ გადმოწერილიაო, მიპასუხებს უფ. ჭავჭავაძე, განა სხვისგან მოგონებული წამალი უნდა დავიწუნოთო! მკითხველო, ამგვარ პასუხს პასუხი ჰქვია, განა? ჩვენში ამას ბაასის საგნის შეცვლას ეძახიან. მე ვამბობდი წესდება გადმოწერილია ადგილობრივი საჭიროებების მიუხედველათ, მაშასადამე პასუხიც ამაზე უნდა მომცემოდა, ამ ადგილობრივი საჭიროებების მიხედვაზე. სხვისგან, შედგენილი წამალზე კი იმას მოგახსენებთ, რომ ეს წამალი ჩვენ უნდა მივიღოთ, თუ ჩვენს ავათმყოფობას და მდგომარეობას მოუხდება, და დავიწუნოთ, თუ მის შემდგენელს იმ წამლით ჩვენებური ციების მოარჩენა კი არა, მექსიკანური vomito negro'-ს მოარჩენა უნდოდა. და მე სწორეთ იმას ვამბობდი, რომ ჩვენი ადგილის-მეპატრონის მდგომარეობა არ შეეფერება ხარკოვის ან პოლტავის მეპატრონის მდგომარეობასთქო.

IX

მე ვამბობდი კიდევ:

„ჩვენს ქვეყანაში ნაკუწ-ნაკუწათ შედგენილი ბანკი გამოადგება მარტო იმ პირებს, რომელნიც სწორეთ იმ გვარივე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიაც პოლტავის ან პარიჟის მიწის-მეპატრონეები არიან. დანარჩენი პირებისთვის კი ამ გვარი ბანკი გამოუდეგარი იქნება, ამიტომ რომ მათი მდგომარეობა უცნობია პოლტავაში და პარიჟში.“

მგონია, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვისგან შედგენილი წამალი მარტო იმ ავათმყოფებს არგებს ჩვენში, ვინც იმავე სენით არიან ავათ, რომელიც გამოუცვლელია წამლის შემდგენელს. მაგრამ უფ. ჭავჭავაძე მაინც თავის წამლის მაგალითს ადგია, და მეორესაც უმატებს: რა უყოთ რომ ნაკუწ-ნაკუწათ არის წესდება შედგენილიო? განა ერთ ადგილს რომ მაუდი ვიყიდო, მეორე ადგილს სარჩული და მესამეს—ძაფი, დერეფანი ამით ხეირიან ტანისამოსს ვერ შეკერავსო? ეს-ეც პასუხი არ არის, ესეც საგნის შეცვლაა, მაგრამ არც ამ მაგალითს დაეტოვებ განუხილველათ. მითხრას უფ. ჭავჭავაძემ, შეჰკერავს დერეფანი ხეირიან ტანისამოსს, თუ ის პირი არ ნახა, ვისთვისაც ჰკერავს, თუ მასზე ზომა არ აიღო, თუ მისი აგებულობა და ტანი არ გაშინჯა? ამას გარდა ხეირიანი ტანისამოსის შეკერავთ საჭიროა თუ არა, რომ ვინც შეკერავს ჩემობს მართლა დერეფანი იყოს და თავისი ხელობა შეესწავლოს? ესეც განმიმარტოს: სხვა და სხვა ადგილას ნაყიდი მაუდი, ძაფი, სარჩული უფ. ჭავჭავაძემ მექოთნეს რომ მიუტანოს, და მექოთნემ ზომის აღებაც რომ არ იფიქროს, შეეკერება ხეირიანი ტანისამოსი ამ ნაირათ, თუ არა?

X

საქმე იმაშია, რომ მე ვამბობდი: უფ. ბეს. ლოლობერიძეს არ შეუსწავლია არც ჩვენი ქვეყნის საჭიროება, არც კრედიტის და ბანკების საქმე. იმას აუღია ათიოდე უცხო ქვეყნელი ბანკის წესდებები და მიუგნებლათ, ადგილობრივი საჭიროების გამოუკვლეველათ გადმოუწერია ნაკუწ-ნაკუწათა ზოგიდამ რა და ზოგიდამ რა. ეს გახლდა ჩემი აზრი. არღვევს ამ აზრს უფ ჭავჭავაძის მაგალითები და სიტყვები? ეს შენ გასინჯე, მკითხველო.

XI

უფ ჭავჭავაძე მაყვედრის, ნიკოლაძე გრძლათ ამტკიცებს უფ. ლოლობერიძის წესდების გადმოწერასაო, თითქო ეს რასმ ნიშნავდეო. აუხსნი უფ. ჭავჭავაძეს რისთვის ჩავთვალე მე ჩემ ბოვალეობათ ეს გრძელი დამტკიცება. უფ ბეს. ლოლობერიძემ გადმოწერა თავისი წესდება. დიდი შრომა ან ცოდნა უნდოდა ამ გადმოწერას? ეს კითხვა გასინჯოს ჩვენმა ახლგაზდობამ და მოამავალმა. მე მგონია კი, ჩემდა [illegible] რომ ეს შრომა ღირს რვა ა[illegible]. უფ ბეს. ლოლობერიძის მომხრენი კი ქადაგებდნენ ქუთაისში, რომ ამ პატიოსანმა კაცმა დიდი შრომა გასწიაო, დიდი ღვაწლი დაადვა საზოგადოებასო, და მაგიერათ საზოგადოებამ ის უნდა ამოირჩიოსო. ამორჩევა და პირადი ღირსება იქით იყოს, განა ყოველი პატიოსანი კაცის მოვალეობა არ იყო ამ გვარი უმსგავსო და ცრუ აზრის დარღვევა? წესდება გადმოწერაო, და ამისთვის ხუთის წლის ვადით ოთხას ოთხასი თუმანი აძლიეთო, ამ აზრს უნდა დავთანხმებოდით ჩვენ? ამ აზრს რომ წინააღმდეგათ არ ავდგომოდი, განა ჩემზედაც არ გავრცელდებოდა პასუხის გება საზოგადოების შეცდომაში შეყვანისათვის? ესეც შენ გასინჯე, მკითხველო.

XII

მე კი იმას ვიტყვი, რომ ჩემდა თავათ მე ვერ გავერევი საზოგადოების თვალის ახვევაში. ჩვენში ბევრია ისეთი პირები, რომელნიც სარგებლობენ საზოგადოების უმეცრებით, და რომელნიც სცხოვრებენ და მდიდრდებიან საზოგადოების ხარჯით, იმით, რომ თავიანთ საქმეს და შრომას საზოგადოებას მოჩვენებენ მეტის-მეტათ ძნელ და მეცნიერ რამეთ. განა აი ეს ადვოკატი, რომლის აზრის დაწერას ან სიტყვის თქმას არავითარი განსაკუთრებითი ნიჭი, ცოდნა და შრომა არ სჭირია, და რომელიც ერთი საათის შრომისთვის თხოულობს იმოდენს, რამდენსაც სხვა შვიდი წლის შრომით ვერ შეიძენს, განა ეს ადვოკატი ხალხის მატყუებელი არ არის? ცუდია განა რომ უთხრა ხალხს, დიდი არაფერია, ბატონებო, ამ კაცის შრომა, არ ღირს იმოდენათ, რამდენსაც თქვენ აძლევთთქო? ყოველს შემთხვევაში, მე მგონია, რომ ხალხის გამცარცველების რიცხვში ურევია ის, ვისაც შეუძლია ამ გვარი შეცდომის გამოაშკარება, და არ ააშკარ ვებს.

XIII

მეორე ალაგას ჩემს სტატიაში მე ეწერდი:

„ხარკოვის ბანკის წესდებაში მუხლი 48 ამბობს, რომ დაფსების საფუძვლათ ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს განსაკუთრებით (преимущественно) მამულის შემოსავლის რაოდენობით. უფ. ბ. ლოლობერიძეს არ ეცი რა მოაზრებით წაუშლია ეს სიტყვა „преимущественно,“ და ეხლა მისი წესდების ძალით დაფსების დროს ბანკი უნდა ხელმძღვანელობდეს მარტო მამულის შემოსავლით, მერე როგორით? შემოსავლით, რომელიც განიმარტება არენდის პირობით, ანა და მიწის გაქირავების და სხვა ამ გვარი კანტრახტის პირობებით. ბევრს აქვს ჩვენში მამული არენდით გაცემული ან კანტრახტით გაქირავებული? რასაკვირველია, ხარკოვის გუბერნიაში, სადაც თითქმის ყველა მამულის მეპატრონეები თავიანთ ადგილ-მამულს არენდით აქირავებენ და მიწას თვითონ არცერთი პატრონი არ ასარგებლებს, ეს მოთხოვნილება (არენდის ან კანტრახტისა) თავის ადგილზე იყო. მაგრამ ჩვენში, სადაც არენდა რა სიტყვაა არავინ იცის, უნდა დარჩენილიყო შეუცვლელათ ამ გვარი მუხლი?“

რა პასუხს მაძლევს ამ კითხვაზე უფ. ჭავჭავაძე? სრულიად არავითარს. ის მოჰყოლია იმ ჭეშმარიტების დამტკიცებას, რომ ყოველი საგნის ფასი (გესმოვეს, მკითხველო, წელანდელი ქუჩის მოკინჭვის მაგალითი?) მისი შემოსავლით განიმარტება, იმ შემოსავლით რომელიც ამ საგანს ან ეხლა მოაქვს, ან შემდეგ მოტანა შეუძლია. ეარგი და პატიოსანი, მაგრამ რა საჭირო იყო ამაზედ ლაპარაკი? მე იმას ვჩიოდი, რომ ჩვენს წესდებაში არ არის გამოსახული ის აზრი, რომ ყოველი მამულის ფასი განიმარტება იმ შემოსავლით, რომელიც მამულს შემოაქვს, ან რომლის შემოტანა შეუძლია. მე იმას ვჩიოდი, არენდა და კონტრახტები რისთვის არიან ამ საქმეში ჩაკვეხებულნი მეთქი, და უფ. ჭავჭავაძე კი თავის ანაბანას მიზეპირებს. ეს მიპასუხეთ, თუ მოპასუხე ბრძანდებით, რათ არის გამოყვანილი უფ. ლოლობერიძის წესდებაში, რომ მამულის ფასი განიმარტება მარტო არენდის და კანტრახტების პირობებითო?

XIV

თითქო ამ პასუხის მოსაგებლათ უფ. ჭავჭავაძე მეუბნება: ეს შეიძლება ინსტრუქციებში ჩაიწეროსო. არა, ბატონო, ინსტრუქციებში თქვენ ისეთს ვერაფერს ჩასწერთ, რაც თქვენ წესდებას ეწინააღმდეგება, და თუ ჩასწერთ—კანონს დაარღვევთ. მაშასადამე ინსტრუქციაც პასუხი არ არის. ამას გარდა, თუმც უფ. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ ჩვენს ინსტრუქციაში ეს გამოყვანილიაო, მაგრამ როცა მისი ინსტრუქცია გადავათვალიერე, შიგ მარტო ის ვნახე, რაც წესდებაში უწერია: მამულის ფასი განიმარტება მისი შემოსავლითო, იმისთანა შემოსავლით, რომელიც მამულს დღეს შემოაქვსო. მართალია, თფილისის ბანკის ინსტრუქციაში სწერია, რომ შეიძლება მამული ამ გრძელ-ვადაში შეიცვალოსო მაგრამ აი როგორ სწერია ეს:

„§ 45. Выведенная на основаніи вышеизложеннаго цифра цѣнности всего имѣнія представляетъ только стоимость его по доходу при тѣхъ условяхъ и обстоятельствахъ, при которыхъ произведена оцѣнка. Но такъ какъ имѣніе отдается въ залогъ на продолжительное время, въ теченіи котораго условія и обстоятельства хозяйства, могутъ подвергнуться разнымъ перемѣнамъ и случайностямъ, то цифра стоимости имѣнія, какъ продолжительнаго залога должна быть регулирована на основаніи слѣдующихъ соображеній: 1) въ имѣніяхъ оброчныхъ можно предполагать, смотря по обстоятельствамъ, недоборы, или недоимки отъ 5% до 15%; 2) имѣнія, переходя въ руки новыхъ владѣльцевъ, или при новыхъ, менѣе благопріятныхъ условіяхъ и обстоятельствахъ, могутъ приносить дохода менѣе нежели показано при сдѣланной оцѣнкѣ; 3) имѣніе съ доходнаго хозяйственнаго положенія можетъ перейти въ оброчное, или арендное, уменьшающее цифру прежняго дохода“

ეს გახლავს ის საშუალება, რომელიც უფ ჭავჭავაძეს ჩემი აზრის დასარღვეველათ მოუძებნია თავის ინსტრუქციაში.

XV

მკითხველს ემახსოვრება ალბათ ჩემი აზრი, რომ ჩვენი ბანკების დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ მათი წესდება თხოულობს მსესხებელისაგან უფეოდ და უდავო საბუთებს.

მე ვამბობდი, რომ ჩვენში გმ ჯენა ჯერ მარტო იწყება, საბუთები ჩვენში თითქმის არავის აქვს და ამის გამო ბანკი უმრავლესობას ფულს ვერ ასესხებს-თქო. რითი დაარღვია ეს ჩემი აზრი უფ. ჭავჭავაძემ? მით, ვითომ, რომ დამიმტკიცა საბუთების საჭიროება, მათი სიკარგე, დამიმტკიცა ერთის სიტყვით, რომ რაც უფრო მეტი სიმაგრე ექნება გირაოს, მით უფრო კარგათ წავა ბანკის საქმეო. ვინ იყო ამის წინააღმდეგი? ქანონიერი საბუთი და გამიჯვნის პლანი,—ეს ხომ ბრიყვებისთვისაც ცხადია — ჩინებული და ძვირფასი რამაა. მგრამ უბედურება ესაა, რომ ეს ჩინებული და ძვირფასი საუნჯე ჩვენში ძვირობს. ათასჯერ უფრო მაგარი და შეურყეველი იქნებოდა ჩვენი ბანკი, თავ ფულათ იმას თავისი საკუთარი ნაღდი ფული ოცოდე მილიონი რომ ჰქონოდა. მაგრამ რომ არა გვაქვს ეს დალოცვილი ოცი მილიონი ნაღდი ფული! ვიცით, ჩემო ბატონო, რომ საბუთი და პლანი ჩინებული რამაა ბანკისთვისაც და მეპატრონესთვისაც, მაგრამ არა გვაქვს, თქვენი ჭირიმე, ეს მშვენიერი საუნჯე, და რა ექნათ? მე იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენი ბანკი გამოადგება მარტო იმ პირებს, ვისაც ამნაირი პლანები და საბუთები აქვთ და არა დანარჩენებს, ესე იგი ჩვენი თავად-აზნაურობის და ადგილის მეპატრონეების უმრავლესობას-თქო. აი ეს გახლავსთ ჩემი აზრი, და თუ შეიძლებოდეს ეს აზრი დამირღვევეთ, მისი უსაფუძვლობა დამიმტკიცეთ. ათასიც რომ მიმტკიცოთ სიბუთების ღირსება, ამ მტკიცებით თქვენ ჩემს აზრს მაინც ვერ შეარყევთ, ამიტომ რომ საბუთების ღირსებას მე არ უარეყოფ.

XVI

ამ ჩემს აზრს: „ჩვენი ბანკი სარგებლობას მოუტანს მარტო მცირეოდენ ხაბუთების მექონე პირებს, და არა მთელს საზოგადოებას ანა და საზოგადოების უმრავლესობას,“ ვერ შეარყევთ თქვენ ვერც თეორიული მოაზრებით, ვერც თქვენი თფილისის ბანკის პრაქტიკით. შარშანდელი თქვენი ბანკის ანგარიში გვიჩვენებს, რომ თქვენ მარტო ცამეტი სოფლის მამულის მეპატრონისათვის მიგიციათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელ-ვადიანი სესხი, და მარტო თვრამეტისათვის — მოკლე ვადიანი. სულ ერთიანად გაგიციათ თქვენ სოფლის მამულებზე 152.957 მან., მაშინ როდესაც ამავე დროის განმავალობაში მოქალაქეებისათვის გისესხებიათ 360.440 მან. ეს მოხდა იმ გუბერნიაში, სადაც გამოჯანსაღდა სწარმოებს აგერ თორმეტი წელიწადია. მაშ რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ქუთაისის გუბერნიაში, სადაც გამოჯანსაღებას გუშინწინ შეუდგნენ? ეს ამისსენით, ამაზე გამეცით პასუხი.

XVII

ამიხსენით, კიდევ აი რა. რომელს წარმოებას, რომელს ხალხის სასარგებლო ან ქვეყნის გამოსადეგს საქმეს ან შრომას მოუხდა თქვენი თფილისის ბანკი? ჩემის აზრით, ყველაზე უფრო თქვენი ბანკი იმ ვაჭრებს გამოადგათ, ვისაც თფილისში შენობები აქვთ. გამოიტანეს ამ ვაჭრებმა თქვენი ბანკიდამ ფული, თავად-აზნაურობის სახელით ნაშოვნი, გამოიტანეს გრძელი ვადით და მცირე სარგებლით, და ეს ფული ისევ ამავე თავად-აზნაურობას მიასესხეს, მოკლეს ვადით და უშველებელი, დამღუპველი სარგებლით. მართალია ეს, თუ არა?

ეხლა მიბრძანეთ: ის ბანკი, რომელიც ზოგიერთებს ხელში იარაღს აძლევს უმრავლესობის გასაცარცველათ, სასარგებლოა თუ სანებელია ამ უმრავლესობისთვის, ესე იგი თვითონ ქვეყნისთვის? ამ აზრს მე აი როგორ ვეპარტავდი:

„თუ ამ უკანასკნელი (უკრედიტოთ დარჩენილი) პირების რიცხვი უფრო გადმეტებული იქნა ვინემ პირველების (ვინც კრედიტს ეღირსა), რასაკვირველია ბანკი, რომელსაც მთელი საზოგადოებისთვის უნდა მოეტანა სარგებლობა, გამოადგება მარტო ზოგიერთებს და მით ავნებს დანარჩენებს.“

აი ეს აზრი დამირღვიეთ, ეს ჩემი სტატიის უმთავრესი და უძლიერესი აზრი, და მაშინ თაყვანს ვცემ თქვენს წესდებას და თქვენს ბანკებსაც. და როცა თქვენ ამ უმთავრესს აზრს ხელ-უხლებლად, უძანკოთ უშვებთ, დანარჩენი ყველაფერიც რომ დამირღვიოთ, მაინც თქვენი ბანკის საქმე და თქვენის წესდებების ღირსება დაფუტული იქნება. იმის თქმა კი ეხლაც შემიძლიან, რომ ამ აზრს უფ. ჭავჭავაძე არც კი მიჰკარებია.

XVIII

მეორე უმთავრესი აზრი ჩემი სტატიისა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ბანკებს იმაზე უნდა ეზრუნვათ — რით და რანაირათ დაიცვან დაგირავებული მამულები უცხო ქვეყნელების ხელში გადასვლიდამ, როცა მათი გაყიდვის დღე მოაწევსთქო. — მე ვამტკიცებდი, რომ არც ერთს რუსულ ბანკს ეს მიზანი არასოდეს არ ჰქონია, მაშასადამე მათი წესდებაც ამ საგნზე ყრუ უნდა იყოს-თქო. ამის შემდეგ მე ვამბობდი: მიჩვენეთ ალბა, რომელი მუხლი შეუდგენია თვითონ უფ. ბ. ლოლაბერიძეს იმ მიზნის მისაღწევლათ, რომელიც რუსულ ბანკებს არ ჰქონიათ მეთქი.

ამ საგანზე უფ. ჭავჭავაძე ბურჟუაზული შეუშფოთებლობით მიპასუხებს: ეს აუცილებელი უბედურებაა, მაშულები მაინც სხვის ხელში გადავლენო!

XIX

ჯერ ერთი ეს, რომ ამაშიდაც უფ. ჭავჭავაძე საგანს და ბაასს აბრუნდებს: ის ამბობს, ვითომ ჩემი აზრი იმაში მდგომარეობდა, ფულიც შეეჭამოთ და მამულიც დავიტოვოთო. არა ჩემი აზრი ის იყო, რომ დაგირავებული მამული თუ დაშგირავებელმა ვერ დაიხსნას, მიეყიდოს ისევ ჩვენებურებს-თქო. ამას ჩვენებურათ ის კი არ ჰქვიან „ავიღე და არ მოგეცი,“ ჰქვია: „ლუკმა გავარდეს — ჯამში ჩავარდესო!“ შეფიქონათ უფ. ჭავჭავაძეს და ბ. ლოლაბერიძეს ამ საგანზე, შეედგინათ ცალკე წესი მამულების გამოყიდვაზე სახლის-კაცების, მეზობლების — ან გლეხების შეერთებით, დაეწესებიათ მთელი სოფლის ან უბნის მცხოვრებლების დმოკიდებულება ბანკთან, უფრო ხანგრძლივი და გაწერიძალებული ნდობა დაეარსებიათ ნათესავებისთვის და მშრომელებისთვის, და ვნახავდით, მაშინ, უცხო ქვეყნელებს დარჩებოდათ ჩვენი მამულები, თუ ჩვენებურებს, ურიას — თუ ქრისტიანს. იმას ხომ მაინც ვერ იტყვის უფ. ჭავჭავაძე, რომ გლეხები სიხარულით არ ყიდულობდნენ მიწებს, ყოველთვის, როცა ფასის განაწილება და რამდენიმე წლის ვადით გარდახდა შეუძლიანთ? ან იქნება ესეც სთქვას, ვინ იცის!

XX

ამ საგნის თაობაზე უფ. ჭავჭავაძე სწერს, რა უფლებით აიძულებდით მეპატრონეს მაინც და მაინც გლეხებს ან მეზობლებს მიჰყიდოს მამულიო, თუ კი გარეშე პირი მეტს ფასს მისცემსო? ვინ აიძულებს ბატონო? ბაუადვილოთ სახლის-კაცებს და გლეხებს ფულების გარდახდა, გავანაწილოთ გარდასახადი ცალ-ცალკე თითოეულ კაცზე, გაუადვილოთ სოფლებს ან უბნებს ამხანაგობების შედგენა და ამხანაგობით მამულების ყიდვა, და ვნახოთ მაშინ, ვინ უფრო მეტს ფასს მისცემს, გარეშე პიროი, თუ მეზობელი. და თუ ვინიცობაა გარეშე კაცმა მეტი მისცეს, — რა გაეწყობა მაშინ ხომ ბანკისთვის მარტო ის იქნება, რაც ეხლა არის, და არა უარესი. რას წაახდენს, მაშინაც, წინდაწინ პირობის დაკავება ბანკსა და მეზობლებს ან გლეხებს შუა, თუ ვერას გაუკეთებს? და რაც მე ვთქვი წინდაწინათვე დაფასებ ზე, განა ეს დაფასება minimum'ის განმარტება არ იყო? ვერ მიხვდა ამას უფ ჭავჭავაძე, თუ არ მიხვდ ?

XXI

ამ გვარათვე მიპასუხებს უფ. ჭავჭავაძე შესახებ იმ ჩემის აზრისა, რომლითაც მე ვამტკიცებდი, რომ შესაძლებელი იყო ურთიერთობის თავდებობით, ესე იგი მთელი თავადაზნაურობის თავდებობით ეშოვნა ბანკს ფული, უფრო ადვილად ვინემ დაგირავებული მამულების გირაოთი, როგორც ეხლა ბანკებშია მიღებული.

თქვენმა „საადგილ-მამულო“ ბანკმა უფრო მეტი ფული იშოვნა თავისი გირაოს ფურცლებით, თუ თფილისის ურთიერთი ნდობის ბანკმა (**общество взаимнаго кредита**) რომელსაც არც გირაო აქვს, არც საბუთი, არც ერთი, არც მეორე. რომელს ბანკს უფრო მეტი ნდობა აქვს, მიბრძანეთ? რომლის ბილეთები უფრო ადვილათ გადის და საღდება, თქვენი თუ იმისი? ნუ თუ შეუძლებელი იყო ან გირაოზე დაფუძნებული ბანკის ცალკე გახსნა და მის გვერდით ამგვარი ურთიერთის ნდობის საზოგადოების დაფუძვნება, ანა და ერთ და იმავე ბანკში ორივე სისტემის ერთათ მიღება? ამაზედ უფ. ჭავჭავაძე, რასაკვირველია, იმას მეტყვის რომ ამგვარ ბანკებში მოკლე ვადიანი სესხიაო და ჩვენს თავად-აზნაურობას კი ხანგრძლივი სესხი სჭირიაო. მაგრამ მთელი გუბერნიის თავადაზნაურობის თავდებლობას, რომელსაც მთელი გუბერნიის ადგილ-მამული საერთოთ გირაოთ ექნებოდა (როგორც საქალაქო ბანკებში მთელი ქალაქს უძრავი ქონებაა, ბანკის გირაოთ) განა ნაკლები ღირსება ექნებოდა კაპიტალისტების თვალში და იმოდენივე ხანგრძლივი ფასი არ ექნებოდა, როგორც რამოდენიმე იმ მამულების ცალ-ცალკე თავდებობას? ამას გარდა, განა ურთიერთის თავდებობაზე დამყარებულ ბანკებს ცოტა ფული შემოდის სანიადაგოთ შესანახავათ ან ოცი და ოცდა ხუთის წლის ვადით?

XXII

ეს ჩემი აზრი გამოთქმული იყო აი რა გვარათ:

„მაგრამ რადგანც ჯერ ჩვენში გამიჯვნა (მეჭეურნიე) გვარიანს ხანს კიდევ ვერ დაბოლოვდება, და ჩვენს საზოგადოებას კი მანემდი ფული ეჭირვება, შესაძლებელი იყო ბანკს ფულიც ეშოვნა და ზარალსაც ასცილებოდა, ურთიერთის თავდებობის დაწესებით. მაშინ ფულის პატრონი ბანკის ფურცლებს (ბილეთებს) იყიდიდა არა დაგირავებული ადგილების მიხედვით, არამედ ბანკის დამაარსებლების, ესე იგი მთელი ქუთაისის გუბერნიის აზნაურობის თავდებლობით. ამ გვარათ ფული ადვილათ და იაფათ იშოვნებოდა ბანკისთვის. მეორე მხრით შესაძლებელი იყო, რომ ბანკში ადგილ მამულის შეტანა გაეადვილებია კაცს იმ შემთხვევებში, როცა გირაოს შემტანის მეზობლობა ბანკს ხელწერილს მისცემდა რომ ადგილი ნამდვილათ ამ პირს ეკუთვნის.“

რაღა თქმა უნდოდა, რომ თავდებლობა ძარტო ცარიელ სიტყვას არ ნიშნავს, და ხელწერილიც უბრალო მოკითხვის წიგნს ვერ ემსგავსება. ურთიერთ თავდებლობაზე მთელი საზოგადოებისა უფ. ჭეჭა ძ, რასაკვირველია, ბევრს ვერას იტყოდა, რადგანც ამის სიმაგრე შეურყეველია. ის ჩ ჰფრენია იმ აზრს რომელიც მეზობლობის თავდებლობას შეეხება, დაუჯინია, რომ მეზობლები ცრუ მოწმობას მისცემენო და თან ისიც დაუმატებია, რომ მეზობლები პირველი მოდაველები არიან მეპატრონისა. ცრუ მოწმობას ვინ მისცემდა, როცა მისივე საკუთარი მამული მოწმობის თავდები და მომოპასუხე იქნებოდა, ეს მე არ მესმის. უფრო მეტათ მაკვირვებს მეორე მოსაზრება: მეზობლები მოდაველნი არიანო. თუ კი ღმერთი იმოდენათ შემეწევა, რომ თვითონ მოდაველისგან ავიღებ მოწმობას ამა და ამ მამულზე არავის არაფერი უფლება არა აქვსო, ამას კიდევ ემჯობინება რამე? — მერმე რაღა პირით ამიტეხს დავას?

XXIII

ამ გვარი პასუხებით შიქეიფებული უფ. ჭავჭავაძე მეუბნება:

„ბანა მარტო აქციონერული ბანკის განსაკუთრებითი თვისებაა, რომ დასაგირავებელი მამულისათვის მეტიკეე საბუთია საჭირო? ეგ თვითონ ძიწის-სამოქმედო კრედიტის არსებითი სულია... უმაგისობა შეუძლებელია. უმაგისოთ ქვეყანაზედ არც ერთი მიწის სამოქმედო კრედიტის ბანკი არც ყოფილა არც არის და არ იქნება, ჩვენი დალოცვილის პრიკაზის მეტი*)“

*) პრიკაზის ხსენებაც შეცდომაა. ვინ არ იცის, რომ პრიკაზიც საბუთებს თხოულობდა, და მაში დაგირავებულ მამულებზე დავა არასოდეს არ ატეხილა?

რა მაგრათ, გარდაწყვეტილ, უეჭველოთ არის გამოთქმული — „არც ყოფილა, არც არის, და არც იქნებაო!“ მაგრამ წელანდელ განმარტებას თუ გავიხსენებთ, საცა უფ. ჭეჭავაძე მიწის-სამოქმედო კრედიტს იმ კრედიტს უძახის, რომელიც მიწის შემუშავებისთვის არის დანიშნული, ჩვენ აი რას ვნახავთ: სწორეთ ამგვარი „კრედიტი,“ დანიშნული მიწის შესამუშავებ ლათ. არსებობს უსაბუთოდ აი, მაგალითად ამ სამს ბანკში: Crédit agricol, (მიწის-სამოქმედო კრედიტი), Crédit rural (სასოფლო კრედიტი) და Crédit colonial (საკოლონიო კრედიტი.) სამივე ეს ბანკები კიდეც ყოფილან, კიდეც არიან და კიდეც იქნებიან, და აც ერთს იმათგანს მსგავსება არა აქვთ საფრანგეთის „საადგილ მამულო ბანკთან, რომელსაც ჰქვიან Crédit foncier

XXIV

ამ წვრილმან შენიშვნებზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ აზრს, რომელიც გამოუთქვამს უფ. ჭავჭავაძეს შესახებ „ალბ-მიცემობის თავისუფლებისა.“ ეს აზრი, რომელიც უფ. ჭავჭავაძეს მოუყვანია გაკვრით, თითქო უეჭველ ჭეშმარიტება, ბევრს რასმე გვიხსნის ჩვენ ამ ჩვენს ბაასში. ამისგამო მე ცოტაოდნათ უნდა მივაქცეო მკითხველის ყურადღება ამ აზრზე, ბით უფრო, რომ ამ აზრის გამოკვლევა შეადგენს ფილოსოფიურ მხარეს იმ უთანხმოებისას, რომელიც არსებობს ჩვენს შუა.

XXV

ეკონომიურ და საზოგადობრივ მეცნიერებაში ორი უმთავრესი მიმართულება იყო ამ ჩვენს საუკუნეში. ამ ორს მიმართულებებს შუა მთელი ორმოცი წლის განმავალობაში დუცხრომელი ბრძოლა იყო ატეხილი. პირველი მიმართულება, რომელსაც ჰქვია „ბურჟუაზული,“ და რომლის წარმომადგენელი იყო ჟ. ბ. ბატისტ-სე, ამტკიცებდა, რომ ქვეყანაზე ყველაფერი კარგათ მიდის, ოღონდ ნურც მთავრობა, ნურც საზოგადოება ნუ გაერევა ეკონომიურ საქმეებშიო. „ალბ-მიცემობის თავისუფლება“ დაამყარეთო, ქვეყანას მისმეტი არაფერი სჭირიაო. ამ თეორიის ბაირაღათ ითვლება სიტყვა „Laissez faire, laissez passer,“ ესე იგი, თავისუფლათ რომ ვთარგმნოთ — „აცალეთ, თავი დაანებეთ!“ „მე ვყიდი დამპალს თევზს, სოფლის კაცი მოდის და ყიდულობს, თქვენ (ესე იგი მმართებლობას და საზოგადოებას) რა გენაღვლებათო? თუ არ მოსწონს, რათ ყიდულობს, თუ ძვირია, წაბრძანდეს, თუ მოტყუვდა, რათ თანხმდებოდა?“ „მე ვასესხებ ფულს და მანეთში ორს მანეთს ვიღებ სარგებელს: ეს ჩემი და მსესხებელის საქმეა, თუ ძვირათ მიაჩნია — ნუ მიიღებსო.“ „მე ქარხანა მაქვს, მუშებს ვამუშავებ. ძვირა არ ჰყოფნისთ იმათ, შიმშილით კვდებიან. თუ არ ჰყოფნისთ, წაბრძანდნენ, სადაც მეტი მისცენ, იქ იმუშავონო.“ ეს გახლავსთ ბურჟუაზული მიმართულების აზრი. ასე ითარგმნება „ალბ მიცემობის თავისუფლების“ ფრაზა.

XXVI

ამის წინაღმდეგათ ის მიმართულება, რომელსაც ჰქვია „საზოგადობრივი,“ ამბობს: საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისგან, და თავის საკუთარი სარგებლობისთვის მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ არც ერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ წახდეს, სწორეთ ისე, როგორც კაცი თითოეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდება. ცხოვრება — ბრძოლაა, რო-

მელშიაც დაიარაღებული კაცი იმარ-ჯვებს დაუიარაღებელზე. [illegible]ოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ, თუ ამ ბრძოლის მოშლა და გარმონიის გამართვა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება, ბრძოლა ისე მაინც მიდიოდეს, რომ ყოველი მებრძოლე ერთნაირათ იყოს დაიარაღებული. რა ჰქნას ეხლა სოფლის მყიდველმა, როცა იმას თევზის ყიდვა სჭირია, თუ არ დათანხმა იმ ეაჭარს, რომელიც დამპალს თევზს ძვირათ ჰყიდის? ეს თავისუფლება კი არა, ცარცვაა. ამისთვის საზოგადოებამ უნდა გამართოს თავისი საკუთარი დუქნები, რომ ეაჭრობა მარტო საქონლის მოტანაში და ხარჯის აღებაში მდგომარეობდეს. ამ აზრით დაარსებულია ეხლა მეორეს ქალაქებში, და ჩვენს თფილისშიაც, საზოგადობრივი დუქნები „потребительныя общества.“

ვთქვათ, უფ. ჭავჭავაძე თფილისიდამ ქუთაისს წასვლას აპირებს. მისი „აღებ მიცემობისას თავისუფლების“ თეორიით, რა ხელი აქვს ან მთავრობას ან საზოგადოებას მის მოლაპარაკებაში გაერიონ რკინის გზის უფროსებთან? მორიგდენ ის და რკინის გზა, ვის რა ხელი აქვს იმათ შუა გარევისა, მაგრამ რას იტყვის უფ. ჭავჭავაძე, მისაღებია ეს აზრი? მაშინ ხომ რკინის გზა ეტყვის უფ. ჭავჭავაძეს: ან მომეცი ხუთი თუმანი ქუთაისში წესაყვანი, ან როგორც გინდა ისე წადი, გინდ ჯორით, გინდ ურმითო. აი რისთვის დაწესებულია ტაქსა, გარდაწყვეტილი ფასი, თითოეული ბილეთისა. შამისოთ „აღებ მიცემობის თავისუფლება“ თავისუფლება იქნებოდა, მაგრამ ცარცვისა და გლეჯისა, და არა მთელი საზოგადოებისა.

XXVII

ამავე თეორით ბანკის საქმეშიაც, საზოგადობრივი ბანკები იმისთვის არიან დაარსებულნი რომ ურთიერთის შეერთებით და თავდებობით თანხა და ნდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი ურიების და მათი მსგავსი კაპიტალისტების ხელიდამ. მეორეს მხრით ბანკები გამართული აქვთ თვითონ ამ კაპიტალისტებსაც, რომ „წესიერათ,“ „კანონიერათ,“ სცარცვონ ხალხი. ამ გვარია, მაგალითათ ის „რუსული ბანკი,“ რომელიც თფილისელ სათავად-აზნაურო ბანკს უსაღებს გირაოს ფურცლებს. მაგრამ აქ საქმე იმაში კი არ არის, კარგია თუ ავი ესა და ეს ბანკი. საქმე იმაშია, რომ საზოგადო მეცნიერებამ გამოიგონა საზოგადობრივი ბანკები სწორეთ იმისთვის, რომ დაარღვიოს აღებ-მიცემობის თავისუფლება იმ ეაჭბატონებისა, რომელნიც ხალხს სცარცვავდნენ, და არა იმისთვის, რომ ამ ეაჭბატონებს ხელი-გაუწყოს თავისუფალ გლეჯაში და ცარცვაში.

XXVIII

როცა ჩვენი ბანკების წესდებები სდგებოდნენ, მაშინ უფ. ჭავჭავაძეს და ლოლაბერიძეს გაცნობილი რომ ჰქონოდათ საზოგადობრივი მეცნიერება, ისინი უსათუოთ ისე შეადგენდნენ ბანკის წესდებებს, რომ ბანკი გამოდგომოდა ჩვენს საზოგადოებას, თავად-აზნაურობას, ხალხს, ესე იგი იმათ ვისაც ფული ჭირიათ, და არა იმ ოციოდე პირთ, რომელნიც ფულს იღებენ გასასესხებელათ. საუბედუროთ, რადგანც იმათ არ სცოდნიათ ეს მეცნიერება, რადგანაც იმათ დღეს ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ ის, რაც ამ ოც-და-ათი წლის წინათ მეცნიერებამ დაარღვია და საენებელათ იცნო, რალა გასაკვირველი უნდა იყო, რომ დღეს უფ. ჭავჭავაძეს ჩემი აზრები სასაცილოთ მიაჩნია. ამას წინათ მე ერთი პატივცემული კაცი ვნახე, რომელსაც სასაცილოთ და სათაკილოთ ის აზრიც მიაჩნია, რომ დედამიწა რგვალია და ბრუნავს.

XXIX

ეს გახლავს მხოლოდ მიზეზი ჩვენი უთანხმოებისა: უფ. ჭავჭავაძე ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელიც ამ ოც-და-ათი წლის წინათ სუფევდა მეცნიერებაში. მე ყოველთვის, ყოვილგან, ყველაფერში ვებრძოლდი ამ მიმართულებას, ამიტომ რომ ვეკუთვნი „საზოგადობრივ“ მიმართულებას, რომელმაც მეცნიერებაში კარი ხანია სრულებით დაამარცხა ბურჟუაზული მიმართულება. რადგანც უფ. ჭავჭავაძეს ეს ჯერ ვერ შეუტყვია, ეხლა ის ამას უფრო ადვილათ შეიტყობს, როცა დამარცხება მის საკუთარს კანს მოხვდება.

XXX

დასკვნა

ბევეყოფა ამოდენა წერა. მისაც მოაზრება შეუძლიან, იმას ნათქვამიც საკმაოთ გუხსნის თვალს. მისაც სჭირია უფრო ნამდვილი ფაქტები, იმათ თფილისის და ქუთაისის ბანკის მომავალი აუხსნის ყველაფერს. მოვიცადოთ ორიოდ-სამი წელიწადი. როცა თავად-აზნაურობის სახელით ნაშოვნ ფულებს ეაჭრები და ურიები ისევ თავად-აზნაურობას მიასესხებენ ძველებური სარგებლით, და როცა თავად-აზნაურობა დაჭარგავს თავის ადგილ-მამულს, მაშინ წარვდგეთ მის წინ უფ. ჭავჭავაძე და მე, და მაშინ ვკითხოთ ამ თავად-აზნაურობას:

— ჩვენგანი ვინ სტყუოდა და ვინ გაბრმავებდა?

ნ. ნიკოლაძე

განცხადებანი

გეგზვიდამ გამოვიდა და ისყიდება მეოთხე კარი

ყარამანიანისა

ფასი 40 კაპ. (3—1)

გაიხსნა ახალი სარძეო სარდაფი

„კეკეთი“

სადაც შეიძლება შემდეგ ნაწარმოებთ მიღება: კარაქისა, ნაღებისა, უმის რძის, გარდადუღებული რძისა, ყველისა, მაწვნისა, ხაჭოსა და სმეტანისა. ფასის შეტყობა შეიძლება სარძეო სარდაფში, რომელიც იმყოფება სასახლის მაედანზე, შ ბუროვის სახლში, მუზეუმის პირდაპირ.

ზაფხულში სარძეო სარდაფის განყოფილება იქნება ქოჯორში.

(6 — 3)

უმორჩილესად ეთხოვეთ იმ პირთ, რომელთაც გაეგზავნათ გასასყიდათ ამ წლის „დროების კალენდარი“, რაც შეიძლება ადრე გამოგვიგზავნონ ანგარიში: რაც გაუყიდიათ ფული და რაც დარჩომიათ, გაუყიდავი კალენდრები. ამას მით უმეტეს ვთხოულობთ, რომ ზოგიერთი ადგილებიდან ეხლაც თხოულობენ კალენდრების გაგზავნას და სამწუხაროდ ჩვენ აღარ გვაქვს, რომ გაუგზავნოთ.

ადრესი ანგარიშის გამომგავნელს:

Въ Тифлисъ, въ Типографію Ефимія Хеладзе

(3 - 3)

დაიბეჭდა და ისყიდება
თამარ საქართველოს
ბატონიშვილის
ისტორიული რომანი
ბ. რჩეულოვისა.
თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და მნფიანცის წიგნის მაღაზიაში.
ფასი ყველგან ექვსი შაური.

თფილისის სამეფო-ნალი

(4 აპრილის სახსარებიდ)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღეის 1 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი ტელიაჩუსი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, ბარალეევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ბერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ბრაბოვსკი—ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაჩუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ბერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ბერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

LA VELOUTINE

(ველუტინი).

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ი ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი.

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად, ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—32

ისყიდება

ქალანდაძის და მართანოვის წიგნის მაღაზიაში ქუჩის ხიდზე პ. უმიკაშვილის გამოცემანი:

ბრიგოლ ორბელიანის ლექსები

ფასი ათი შაური

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი.	9	36	4	54				
მცხეთა.	—	—	—	—	68		38	
ბორი	12	21	8	41	2 40	1	23	
ხაშური	2	—	11	10	3 92	2	18	
ბეჟათუბანი	—	—			4 42	2	46	
ყვირილა	—	—			5 81	3	23	
ქუთაისი.	8	23			6 75	3	75	
სამტრედია.	—	—			7 73	4	29	
ახ.-სენაკი.	—	—			8 57	4	76	
ფოთი.	11	44			9 75	5	42	
ფოთი	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1 18	-	66	
სამტრედია.	—	—			2 6	1	14	
ქუთაისი	11	51			3 4	1	69	
ყვირილა.	—	—			3 98	2	21	
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5 33	2	96	
ხაშური	5	41	1	6	5 84	3	24	
ბორი	7	23	3	6	7 36	4	9	
მცხეთა	—	—			9 8	5	4	
თფილისი	10	16	7	24	9 75	5	42	

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

ოდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე

სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს—ოთხშაბათს, დილით.

ოდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი.	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი.	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსპალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ლიბ. წიგნის	4
ლაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 11 მაისს		
მრთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 32 პენსი.	—	84
პარიჟში 334 სანტიმი.	—	89
მსკონტი(სარგებლისფასი)	6	-
ბანკის ბილეთი 5%	100	25
მოგებიანი(პირველისესხი)	226	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზზ. ბანკისა.	94	—
ხერსონის ბანკის (5½)	88	—
მოსკოვის (5%).	86	75
აქციები:		
ოდესის საეაჭრო ბანკის	172	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ეაკაზის და მერკურის.	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 15 მ ისს		
პური შორაგალის ფთ.	—	80
ქერი ფუთი.	—	55
ბამბა ერევნისა, ფუთი	5	50
— ამერიკისა, ფუთი.	6	30
ბაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	7	50
— თარაქამისა ფთ.	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი.	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	20
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა.	—	70
სპირტი, ვედრო.	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი	7	60
— ფხვნილი ფუთი	6	40
უავა გრგვალი ფუთი	22	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო ½ იმპერიალი.	6	10

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Мая 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.